248

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი

26 ნოემბერი, 2012 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერია, წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის ლ. კოზმავას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ჯეო-ლი" წარმოდგენილი მისი დირექტორის რ. ზანდუკელის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, შპს „ჯეო-ლისთან" 2012 წლის 25 ოქტომბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №010101/10/341-2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების პერიოდში სრულად ვერ მოხერხდა ქ. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებით დაკომპლექტება და შესაბამისად ვერ მოხერხდა მიმწოდებლისათვის მოსაწოდებელი უნიფორმის ზომების მიწოდება, აგრეთვე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების პერიოდში გამოიკვეთა დამატებით დათბილული ქუდების შესყიდვის აუცილებლობა, სახელმწიფო შესყიდვების კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის, ხელშეკრულების მე-10 მუხლის გათვალისწინებით ხელშეკრულების მონაწილე მხარეები – შემსყიდველი და მიმწოდებელი შეთანხმდნენ:

1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს დაემატოს - 450 დათბილული ქუდი (ერთეულის ფასი 12 ლარი) – შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდოს 5400 ლარით და განისაზღვროს 112 050 ლარით.

1.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 15 დეკემბრით.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2012 წლის 25 ოქტომბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №010101/10/341-2 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქალაქ თბილისის მერია
ქ. თბილისი,
მის: ე. შარტავას ქ. №7
სს. „ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE95LB0125152101627000
ს/კოდი: 204521794

ქ. თბილისის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი

ლ. კოზმავა

ქ. თბილისი, მერიის მუნიციპალური
მესაკუთრეობის საქალაქო სამსახური
რეგისტრირებულია
ხელშეკრულების № 112 5/1
სარეგისტრაციო №
რეგისტრაციის თარიღი: 31.12.2012
ხელმოწერა:

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ჯეო-ლი"
ქ. თბილისი,
მის: მოსაშვილის №20
სს. „ბაზის ბანკი"
კოდი: CBASGE22
ა/ა № GE66BS0000000048436313
ს/კოდი: 205229411

შ.პ.ს. „ჯეო-ლის"
დირექტორი

რ. ზანდუკელი